თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ. თელავი 2018 წლის 14-20 დეკემბერი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მთავარი ბუღალტერი თამარ ჭიჭაშვილი, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაქარია რაზმაძე, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორი გიორგი სვიმონიშვილი, ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნიკოლოზ ვაყელიშვილი, ა (ა) იპ თელავის საფეხბურთო სკოლა ,,თელავი''-ს დირექტორი ნიკა დავითაშვილი, ა (ა) იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება ,,თელავი''-ს დირექტორი პაპუნა ხრიკული, ა (ა) იპ თელავის ჭიდაობის სკოლა ,,თელავი''-ს ბუღალტერი ვალერი ლეკიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მომხს: ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

აზრი გამოთქვეს: ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან უკვე მეორედ არ ესწრება სხდომას ბაგა ბაღების გაერთიანების მართვის დირექტორი ამიტომ ვერ მოხდა ბაგა-ბაღების ბიუჯეტის განხილვა

ვინაიდან ა (ა) იპ თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიუჯეტის განხილვა ვერ მოხდა რადგან არ არსებობდა 2018 წლის წარმომადგენლობითი ხარჯების ჩაშლილი დოკუმენტაცია, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა მომავალი წლის ბიუჯეტის მომზადებული დაგეგმვა.

მოქალაქეთა მოთხოვნით მიეცეს რეკომენდაცია ა (ა) იპ თელავის საფეხბურთო სკოლა ,,თელავი''-ს გაუკეთდეს განათება სტადიონზე.

აგრეთვე მიზანშეწონილად მიმაჩნია , რომ ჩატარდეს საფეხბურთო ყოველწლიური ტურნირი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ზურაბ ბალაშვილის სახელზე. აგრეთვე სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად ვალდებულებაა მწვრთვნელები გადამზადდნენ. ა (ა) იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავთან მიმართებაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ხელბურთის დიდ გუნდს ტურნირის დასასრულებლად გამოეყოს 35 ათასი ლარი, ხოლო დასრულების შემდგომ შეწყდეს მისი დაფინანსება რადგან 2018 წელს საკრებულოზე მიღებულ სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად შეუძლებელია აღნიშნული გუნდის დაფინანსება.

სახელფასო ფონდში რაგბის დიდი გუნდის ხელმძღვანელის ხელფასი შეადგენს 1500 ლარს ხოლო ა (ა) იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება ,,თელავი''-ს დირექტორის ხელფასი 1250 ლარს რაც მიგვანჩია რომ შეუსაბამობაა და ვთვლით, რომ

ხელძღვანელს მეტი უნდა ქონდეს ხელფასი ვიდრე მის დაქვემდებარებაში მყოფ პირს.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბილიარდში ვარჯიშობს, სულ სამი ადამიანი რომელთაც ემსახურებათ ორი მწვრთვნელი და მათი ხელფასი შეადგენს 1375 ლარს. რაც ასევე წინააღმდეგობაში მოდის სპორტის განვითარების 2019-2025 წლების სტრატეგიულ დოკუმენტთან, კატეგორიული მოთხოვნაა, რომ აიპის მენეჯმენტმა გაითვალისწინოს სპორტის განვითარების სტრატეგიული დოკუმეტის მოთხოვნები, აგრეთვე ერთი და იგივე საქმიანობის შესრულებაში კერძოდ ტრენერებს სადაც მამაკაცის ხელფასი შეადგენს მეტს ვიდრე ქალის რაც მიზანშეუწონელია და ვითხოვთ მათ გათანაბრებას.

ვეთანხმებით სამანდატო საპროცედურო კომისიის რეკომენდაციას თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამების პროექტთან მიმართებაში, მიეცეს რეკომენდაცია მერიას ჭიდაობის სპორტულ სკოლა თელავს დაემატოს ცხრაათასი ლარი რათა გაიხსნას კინგბოგსინგის წრე რომელზეც თხოვნით მოგვმართა შესაბამისმა ფედერაციამ.

იოსებ პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ თელავის საკრებულოს მიერ მიღებული სპორტის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად ბილიარდი, ხელბურთი, ფრენბურთი ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა რაოდენობას.

გადაწყვიტეს: გათვალისწინებულ იქნას ზემო აღნიშნული კომისიის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ამის გარდა ყველა შესაბამისმა სამსახურმა და არასამეწარმეო არაკომერციულმა იურიდიულმა პირებმა შეადგინონ სამოქმედო გეგმები 2018 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ 2019-2025 წლების სპორტის განვითარების და ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით.

კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი